ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5433315

ნომერი: AR1826486

თარიღი : 25.05.2021

გაცემის თარიღი : 03.06.2021

გაცნობის თარიღი : 03.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაგდა ჯანხოთელი პ/ნ 27001006600
- დ. ლენტეხი თამარ მეფის ქ. N 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის თანახმად 01.11.12.013.040 კოდით რეგირტრირებულ მიწის ნაკვეტზე არის გაკეთებული განშლა რის შესაბამისად არსებობს წილობრივი კოდებით რეგისტრირებული ფართები, აქედან გამომდინარე მონიშნეთ რუკაზე უშუალოდ იმ ფართის ამონაწერი (წილობრივი კოდი ფართის) რომელზეც დაგეგმილი გაქვთ საპროექტო აბრის მოწყობა. ვინაიდან იჯარის ხელშეკრულება დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საჭიროა დაარეგისტრიროთ საჯარო რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში. იმ შემთხვევაში თუ საერთო საკუთრებაში არსებულ ნაწილზე გაქვთ დაგეგმილი საპროექტო სამუშაოები წარმოსადგენი გექნებათ ასევე მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის გიორგი გოგიბერიძის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.